



საერთაშორისო სეზონური სკოლა გაიხდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გხანგის ნომერი OTG-II-23-088)
International Seasonal School is Held with the Support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [Grant Number OTG-II-23-088]

0193 თბილისი, მ. ალექსიძის 1/3 | 1/3 M. Aleksidze St, 0193 Tbilisi, Georgia

www.manuscript.ge



საერთაშორისო სეზონური
სკოლა

აფხაზეთი: უძველესი
დროიდან დღემდე

(ისტორიულ-კულტუროლოგიური
ასპექტები)

მოგზაურობა აფხაზეთის
ისტორიაში

სამეცნიერო კოჰულარული
ბროშურა



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2024



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University



აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
Government of the Autonomous Republic of Abkhazia



ლურჯი საქართველოს ფარის ეროვნული კომიტეტი
Georgian National Committee of the Blue Shield

საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა
აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე
(ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)

მოგზაურობა აფხაზეთის ისტორიაში

სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Sokhumi State University

სამეცნიერო კომიტეტი
თეა ქართველიშვილი
ირინა გოგონაია
შალვა გლოველი
თეიმურაზ ჯოჯუა
ზურაბ ხონელიძე
ზურაბ პაპასკირი
ლია ახალაძე
კახა კვაშილავა
ბეჟან ხორავა
თამარ ქორიძე
ოლივერ რაისნერი

The Scientific Committee
Tea Kartvelishvili
Irina Gogonaia
Shalva Gloveli
Teimuraz Jojua
Zurab Khonelidze
Zurab Papaskiri
Lia Akhaladze
Kakha Kvashilava
Bezhan Khorava
Tamar Koridze
Oliver Reisner

ISBN 978-9941-9917-0-7

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2024

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი OTG-II-23-088]

სარჩევი

შესავალი	7
ზურაბ პაპასქირი, აფხაზეთი	8
სოფიო კეკუა, „აფხაზეთის“ ეტიმოლოგია	10
სოფიო კეკუა, ცხუმი	10
კახა ფიფია, დიოსკურია	11
კახა ფიფია, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი მითრიდატულ ხანაში	12
კახა ფიფია, მანილიუსის კანონი და „ზემო კოლხეთი“	13
კახა ფიფია, სებასტოპოლისი	14
კახა ფიფია, საინტერესო არტეფაქტი სოფ. აჩმარდიდან	15
კახა ფიფია, გოთების ლაშქრობები პიტიუნტში	16
კახა ფიფია, სარმატთა ლაშქრობა სებასტოპოლისში	17
კახა ფიფია, ქრისტიანობის გავრცელება აფხაზეთში	18

თეა ქართველიშვილი, თქმულება ბედიაზე	19
თეა ქართველიშვილი, ლეგენდა მოქვის ტაძარზე	20
თეიმურაზ გვანცელაძე, ვინ დაარქვა ქუთაისს ქუთათისი?	21
თეიმურაზ გვანცელაძე, რატომ ერქვა შავ ზღვას სპარსულად გორჯი დარია?	22
თეიმურაზ გვანცელაძე, არსებობდა თუ არა აფხაზური სკოლები და იბეჭდებოდა თუ არა აფხაზური წიგნები 1938-1954 წლებში?	23
ბეჟან ხორავა, აფხაზების დეპუტაცია თბილისში	25
ბეჟან ხორავა, ილარიონ ქართველი ახალი და აფხაზები	26
ბეჟან ხორავა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი	27
ბეჟან ხორავა, გიორგი შარვაშიძის და მამია გურიელის შეთანხმება	28
ბეჟან ხორავა, ერთი ტრაგიკული სიყვარულის ისტორია	29
კახა კვაშილავა, როგორ გაჩნდა მანდარინი აფხაზეთში	31
ტომოთი ბალუველტი, აბრეშუმის შარფის საქმე	35
ტომოთი ბალუველტი, 41 ბრალდება	36

შესავალი

„იმოგზაურე აფხაზეთის ისტორიაში“... „იმოგზაურე“ – გავრცელებული მონოდებაა, რომელიც სივრცეში ფიზიკურ თუ ვირტუალურ მოგზაურობას გულისხმობს, მეგობრული მონოდებაა აქტივობისკენ, მკითხველის აქტიურობისკენ.

წინამდებარე სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა მომზადებულია საერთაშორისო სეზონური სკოლის ფარგლებში. საერთაშორისო სეზონური სკოლა „აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმატებული პროექტია, რომელიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

სკოლის მიზანია საქართველოს განუყოფელი ნაწილის, მისი ოკუპირებული ტერიტორიის - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის გააზრება უძველესი დროიდან დღემდე თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებზე დაყრდნობით. სკოლა აერთიანებს აფხაზეთის ისტორიულ-კულტუროლოგიურ ასპექტებზე მომუშავე მეცნიერებსა და ექსპერტებს, ხელს უწყობს სფეროში აკუმულირებული ცოდნის შეჯამებას, უახლესი და მიმდინარე კვლევების გაცნობას,

წინამდებარე ბროშურაში განთავსებულია სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებული მასალა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოცემულია სახალისო ამბის სახით და გვამოგზაურებს აფხაზეთის ისტორიაში.

გფიქრობთ, რომ ბროშურაში წარმოდგენილი მასალა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართული კულტურით და ისტორიით, კერძოდ კი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

აფხაზეთი

ზურაბ პაპასქირი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს მდინარეების ფსოუსა და ენგურს შუა. ისტორიულ-გეოგრაფიული აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა. მისი ტერიტორია ისტორიული რეალობიდან გამომდინარე იცვლებოდა.

თავდაპირველად აფხაზეთად იწოდებოდა მდ. ეგრისწყლის (დღევანდელი მდ. ლალიძგა – ოჩამჩირესთან) ჩრდილოეთით მდებარე მხარე. V-VIII ს. I ნახევარში, აფხაზეთი იწყებოდა მდ. კელასურიდან (სოხუმთან) და მოიცავდა ტერიტორიას ნიკოფსიამდე (თანამედროვე ტუაფსეს მიდამოები). დაახლოებით VIII ს. 70-80-იანი წლებიდან, მას მერე რაც აფხაზეთის ერისთავმა, ჯერ მთავრის, ხოლო შემდეგ „აფხაზთა“ მეფის სტატუსით თავისი ძალაუფლება განავრცო ისტორიულ ეგრისზე, ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა არსებითად შეიცვალა და მის ქვეშ უკვე მთელი დასავლეთი საქართველო – „ვიდრე ლიხამდე“ იგულისხმებოდა.

XI საუკუნეში საქართველოს გაერთიანების შემდეგ, აფხაზეთი მისი შემადგენელი ნაწილი გახდა. მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და გარკვეულ შემთხვევებში, ტერმინი „აფხაზეთი“ სრულიად საქართველოსაც აღნიშნავდა. ამასთანავე, აფხაზეთი ერქვა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულსაც – საერისთავოს, რომელიც მოქცეული იყო ანაკოფიასა (თანამედროვე ახალი ათონი) და ნიკოფსიას (თანამედროვე ტუაფსესთან – რუსეთის ფედერაცია) შორის. ამჟამინდელი აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორია კი გადანაწილებული იყო **ცხუმისა** (სოხუმისა და გულრიფშის მუნიციპალიტეტები, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ნაწილი) და **ბედიის** (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ნაწილი და გალის მუნიციპალიტეტი) საერისთავოებს შორის, რომელიც სამეგრელო-ოდის მმართველ დადიანთა სახლს ეკუთვნოდა.

XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთის ერისთავ შარვაშიძეთა საგვარეულოს ძალისხმევით, აფხაზეთის საერისთავო სამეგრელო-ოდისის მმართველი დადიანთა სამთავრო სახლის უზენაესობიდან გამოვიდა და თანდათან ცალკე სამთავროდ გაფორმდა. XVIII საუკუნის დამდეგიდან მოექცა აფხაზეთი თანამედროვე საზღვრებში.

1864 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიამ გააუქმა.

ტერმინმა „აფხაზეთი“ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობა კვლავ შეიძინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ცნო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წ. მაისში ფორმალურად გამოცხადდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელიც იმავე წლის დეკემბერში ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსით შევიდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1931 წელს ე.წ. „ხელშეკრულებით“ აფხაზეთის სსრ გარდაიქმნა აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

1991 წ. დეკემბერში სსრ კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით რჩებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1992-1993 წლების სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, სეპარატისტულმა რეჟიმმა აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.



ვახუშტი ბატონიშვილის შედგენილი რუკა, XVIII ს.

„აფხაზეთის“ ეტიმოლოგია

სოფიო კეკუა

ქორონიმი **აფხაზეთი** მიღებულია აფხაზების აღმნიშვნელი **აფხაზი** სიტყვისაგან **-ეთ** სუფიქსის დართვით. საყრდენი **აფხაზ** ფუძისა და მისი მეგრული **აფხაზა** ვარიანტის ეტიმოლოგიის შესახებ მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული: მეცნიერთა ნაწილი მას ქართველური წარმომავლობის სახელად მიიჩნევს, სხვები - აფხაზურად, ზოგი - ბერძნულად, ზოგი კი - ჩერქეზულად. საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. ამ მოსაზრებათაგან ერთადერთ ობიექტურ ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ **მოცემულ სიტყვას არანაირი დამოკიდებულება არა აქვს ამჟამინდელ აფხაზთა (აფსუათა) ენასთან**, ვინაიდან აფხაზურ ენაზე აფხაზეთს სულ სხვა ფონემატური აგებულების მქონე **აფსნჯ** სახელი აღნიშნავს.

ცხუმი

სოფიო კეკუა

ცხუმი ქალაქ **სოხუმის** ადრინდელი ქართული სახელწოდებაა. ტოპონიმის ამოსავალ ფორმად მიჩნეულია ქართველური წარმომავლობის **ცხუმ-ი**, რომელიც სვანურში წარმოადგენს მცენარე რცხილას სახელწოდებას. ძველქართულ საისტორიო წყაროებში **ცხუმ** სახელს მოეპოვება **ცხომ-ი** და **ცხემ-ი** ვარიანტებიც. შდრ. სვან. **ცხუმ // ცხუმ // ცხუმ** მეგრ. **ცხემ-ურ-ი // ცხიმ-ურ-ი**. არაბულ და თურქულ წყაროებში ცხუმის ნაცვლად დასტურდება არაბ. **სუხუმუ** და თურქ. **სუხუმ**. სწორედ ამ თურქულის ვარიანტად მიიჩნევენ რუსულ **სუხუმ** ფორმას, რომლისგანაც ქართულში მივიღეთ სახელი **სოხუმი**. ქალაქ სოხუმს აფხაზურ ენაზე ეწოდება აჟა „დამყაყებუი წყალი“.

დიოსკურია

კახა ფიფია

ძველი კოლხეთის უმნიშვნელოვანეს საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა დიოსკურია. დიოსკურიას პირველად იხსენიებს ძვ.წ. IV ს. ავტორი ფსევდო-სკილაქს კარიანდელი. ფლავიუს არიანეს ცნობით, დიოსკურია მილეტის ახალშენი იყო. წყაროთა სიმნიერის გამო ქალაქის პოლიტიკური სტატუსისა და მისი დაარსების ზუსტი დროის დადგენა ვერ ხერხდება. მკვლევრები დიოსკურიის დაარსების თარიღად ძვ.წ. VII-VI სს. მიჯნას, VI ს. ან V საუკუნეს მიიჩნევენ. ივარაუდება, რომ ძველი დიოსკურია მდ. ბესლეთის შესართავთან მდებარეობდა და იგი დღევანდელი სოხუმის ყურეშია ჩაძირული. საკამათოა ქალაქის სახელის - „დიოსკურიას“ წარმოშობაც. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური ტრადიცია ქალაქის სახელწოდებას იაზონის თანამგზავრებს, ტყუპ ძმებს - დიოსკურებს (კასტორი და პოლუქსი) უკავშირებს, მკვლევართა უმრავლესობა მას ადგილობრივი ტოპონიმის (მეგრ. დია -დედა, სქური -წყარო) ელინიზირებულ ფორმად მიიჩნევს.

დიოსკურიის ბერძნული მოსახლეობა იმთავითვე მოექცა კოლხების გავლენის ქვეშ და განსხვავებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებისაგან, სადაც ბერძნული ელემენტი ნამყვან როლს ასრულებდა ცხოვრების ყველა სფეროში, აქ ბერძნული სამოსახლო მხოლოდ ადგილობრივ, კოლხურ საქალაქო ცენტრთან არსებულ ემპორიონს - სავაჭრო ფაქტორიას წარმოადგენდა. ძვ.წ. VI-IV სს. დიოსკურიას ბერძენ მოახალშენეთა მეშვეობით ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები დაუმყარებია ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრებთან. საერთაშორისო ვაჭრობის გარდა დიოსკურიას მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა მის გარშემო მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ანტიკურ ავტორთა (ტიმოსთენე, სტრაბონი, პლინიუსი) ცნობებით დიოსკურია წარმოგვიდგება ელინისტური ხანის დასავლეთ კავკასიის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მრავალრიცხოვანი ტომები, ხოლო რომაელებს საკუთარი საქმეების წარმოება 130 თარჯიმნის მეშვეობით უწევდათ.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი მითრიდატულ ხანაში

კახა ფიფია

ძვ.წ. 105-90 წწ. კოლხეთი პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის (ძვ.წ. 120-63 წწ.) ვრცელი მონარქიის საზღვრებში მოექცა. მითრიდატიდების რეზიდენციად კოლხეთში თავიდანვე დიოსკურია გამოცხადდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ დიოსკურიის იქით არსებული, ძარცვა-ყაჩაღობით განთქმული ტომებით – ჰენიოხებით, აქეელებითა და ზიგებით დასახლებული „ბარბაროსული“ სივრცე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. როგორც ჩანს, კოლხთა ერთი ნაწილიც წინააღმდეგობას არ წყვეტდა, რასაც მოწმობს ემერის ციხის არქეოლოგიური მასალები. მითრიდატეს მიერ აგებული ემერის ციხე, მკვლევართა დაკვირვებით, აშკარად ნაჩქარევად, მოსალოდნელი თავდასხმის პირობებში შენდებოდა. აქედანაც ჩანს, რამდენად პრობლემური იყო ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე რეალური კონტროლის შენარჩუნება.

მითრიდატეს ძალაუფლების საყრდენი ამ რეგიონში იყო დიოსკურია. სწორედ მითრიდატეს დროს აყვავდა აქ პოლისური ტრადიციები და ქალაქმა გარკვეული ავტონომია მიიღო. დიოსკურიის პრივილეგირებული მდგომარეობის მაჩვენებელია ის, რომ ამ დროს ქალაქი, განსხვავებით თუნდაც ფასისისა და ტრაპეზუნტისაგან, თავისი სახელით სპილენძის მონეტებსაც ფრიდდა. თუმცა მითრიდატეს კეთილგანწყობა დიოსკურიის მოსახლეობის ბერძნულ ნაწილს ეხებოდა და არა ადგილობრივს. მითრიდატე მტრულად იყო განწყობილი კოლხების მიმართ და მათ საპირწონედ ცდილობდა კოლხთა მიწაზე, ემერის ირგვლივ კოლხთა მოწინააღმდეგე ჰენიოხების ჩასახლებას და სპეციალური, სამხედრო ტიპის დასახლების – კატოიკიის შექმნას.

მითრიდატეს ამ პოლიტიკამ გაამართლა კიდევ. დიოსკურია ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. რომაელებისაგან საბოლოოდ დამარცხებული მეფისათვის ყველაზე სანდო დიოსკურიის მოსახლეობა აღმოჩნდა. მიუხედავად იმის, რომ რომაელები კვალდაკვალ მიყვებოდნენ, მითრიდატემ ძვ.წ. 66/65 წ. ზამთარი დიოსკურიაში მშვიდად გაატარა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მას

იცავდა როგორც პონტოელთა, ასევე ჰენიოხთა ფლოტი. ჰენიოხებმა პატივით მიიღეს მითრიდატე მაშინაც, როცა ამ უკანასკნელმა დატოვა დიოსკურია და ბოსფორისაკენ მიმავალმა მათ ტერიტორიაზე გაიარა.

მანილიუსის კანონი და „ზემო კოლხეთი“

კახა ფიფია

პონტოსა და რომს შორის გამართული მესამე და უკანასკნელი ომის (ძვ.წ. 74-63 წწ.) დამამთავრებელ ეტაპზე, რომის აღმოსავლური ჯარების მთავარსარდლობა დაეკისრა გნეუს პომპეუსს (ძვ.წ. 106-48 წწ.), რომელმაც ძვ.წ. 66 წ. გაიუს მანილიუსის კანონის თანახმად მიიღო ექსტრაორდინარული უფლებები. მანილიუსის კანონით პომპეუსისათვის გადაცემული აზიური ტერიტორიების ჩამონათვალში პლუტარქე (46-120 წწ.) იხსენიებს „ზემო კოლხეთსაც“. ამდენად, ამ ცნობის მიხედვით, კოლხეთის ერთი ნაწილი, „ზემო კოლხეთი“ ჯერ კიდევ ძვ.წ. 66 წ. უკვე გამოსულია პონტოელთა კონტროლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური წყაროები კარგად იცნობენ კოლხეთსა და კოლხებს, „ზემო კოლხეთი“ სხვაგან არსად იხსენიება. თუმცა, გამორიცხულია, რომ პლუტარქეს აქ რამე შეცდომა მოსვლოდა და შემთხვევით ეხსენებინა „ზემო კოლხეთი“. წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მაშინ „ზემო კოლხეთი“ კოლხეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უნდა იყოს. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ რაიონში, კერძოდ კი ეშერაში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ფიქსირდება მასშტაბური საომარი მოქმედებების კვალი. როგორც ირკვევა, მითრიდატეს მოწინააღმდეგე, პრორომაულად განწყობილი კოლხები დაეუფლნენ ქვეყნის ერთ ნაწილს, „ზემო კოლხეთს“, გამაგრდნენ ეშერაში და დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ პონტოურ ადმინისტრაციას. ასე რომ, პლუტარქეს მიერ მოხსენიებული „ზემო კოლხეთი“ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უნდა იყოს, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ძველი კოლხეთის საზღვრები მინიმუმ გაგრა-ბიჭვინთის სექტორამდე ვრცელდებოდა და ეს ტერიტორია ერთიანი კოლხური სახელმწიფოებრივი სივრცის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

სებასტოპოლისი

კახა ფიფია

ანტიკურ სამყაროში სახელგანთქმულ დიოსკურიას რომის ვასალმა პოლემონიდემა, ძვ.წ. 27 წ. შემდგომ სახელი შეუცვალეს და ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) პატივსაცემად „სებასტოპოლისი“ ანუ „ავგუსტუსის ქალაქი“ უწოდეს (სებასტოსი - ლათ. Augustus (დიადი, ნმინდა, ღვთისაგან აღზევებული) ბერძ. შესატყვისი). სებასტოპოლისი პირველად პლინიუს უფროსთან იხსენიება (23/24-79 წწ.). ნერონის (54-68 წწ.) მმართველობის პერიოდში სებასტოპოლისში ჩაყენებულ იქნა რომაული გარნიზონი.

სებასტოპოლისის ადრეული ციხის ნაშთები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად სებასტოპოლისშიც ხის ისეთივე დროებითი საფორტიფიკაციო ნაგებობა ყოფილიყო, როგორსაც იხსენიებს ფლავიუს არიანე ფასისში. უფრო გვიანდელი ხანის თავდაცვითი ნაგებობების ნანგრევები კი ფიქსირდება ზღვის სანაპიროზე. მათ შორის უძველესია კასტელუმის ნაშთები, რომლისგანაც მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელია შემონახული, ხოლო დანარჩენი ნაწილი ზღვაშია ჩაძირული.

131 წ. ფლავიუს არიანეს მოგზაურობის დროისათვის, სებასტოპოლისი იყო რომაელთა მფლობელობის ბოლო პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. კოლხეთის სხვა რომაული ფორპოსტებისგან განსხვავებით, არიანეს ცნობით, აქ დისლოცირებული ყოფილა კავალერიის ნაწილებიც. არიანე არაფერს ამბობს სებასტოპოლისის გარნიზონის რაოდენობის შესახებ, მაგრამ ადრეული კასტელუმის ზომებიდან (0,6-0,8 ჰა) გამომდინარე, იგი 200-300 ჯარისკაცს არ აღემატებოდა. როგორც ჩანს, არიანეს სებასტოპოლისის ციხის გასამაგრებლად გარკვეული ზომებიც მიუღია. ამას მოწმობს 1896 წ. სოხუმში, ნავსადგურის მშენებლობისას აღმოჩენილი კირქვის ფილა ლათინური წარწერით – HADR/ PER. FL.A/LEG. წარწერა სამშენებლო ხასიათისაა; იგი იმპერატორ არიანეს სახელით შეუსრულებია მის ლეგატს არიანეს და მიუთითებს ამ უკანასკნელის მიერ სე-

ბასტოპოლისში ჩატარებულ საფორტიფიკაციო სამუშაოებზე. II ს. მინურულს რომაელებს სებასტოპოლისის მისადგომებიც გაუმაგრებიათ და აქ საგუშაგო კოშკი აუგიათ.

საინტერესო არტეფაქტი სოფ. აჩმარდიდან

კახა ფიფია

2005 წელს გაგრის რაიონის სოფ. აჩმარდის ტერიტორიაზე გათხრილი გვიანანტიკური ხანის მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის თასი. თასზე შემონახულია ბერძნული წარწერა: Έγώ Πάκουρος ὁ βασιλεὺς τοῦ ἀπαινοῦ ἔδωκα – „მე, მეფე პაკორმა, ვუბოძე [ჩემს] ცხვრებს.“ წარწერის ფორმულირება აღმოსავლურია და ასახავს მეფის ქვეშევრდომებთან დამოკიდებულების მოდელს: მეფე-მწყემსია, ქვეშევრდომები კი - ცხვრები. წარწერაში მოხსენიებული მეფე პაკორი, ანტიკური წყაროებით კარგად ცნობილი ლაზთა მეფეა, რომელსაც ძალაუფლება რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსისაგან (138-161 წწ.) ჰქონდა მიღებული.

ამ წარწერას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ 131 წ. კოლხეთის სანაპიროზე კაპადოკიის პროვინციის პროკონსულის ფლავიუს არიანეს (დაახლ. 95-175 წწ.) საინსპექციო მოგზაურობის დროისათვის, ლაზთა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი მდ. ეგრისწყალზე (თანამ. ლალიძგა) გადიოდა; მდ. ეგრისწყლიდან სებასტოპოლისამდე ტერიტორია ეჭირათ აფსილებსა და აბაზგებს; სებასტოპოლისი კი, სანიგთა მიწა-წყალზე მდებარეობდა, რომლის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი მდ. აქეუნტამდე (თანამ. შახე) აღწევდა. ასე რომ, ამ პერიოდისათვის თანამ. გაგრის რაიონი სანიგთა განსახლების არეალში შედიოდა.

ამდენად, თუ 131 წ. ლაზთა სამეფოს საზღვარი მხოლოდ მდ. ლალიძგამდე აღწევდა, II ს. შუახანებისათვის მეფე პაკორი უკვე მდ. ბზიფის დასავლეთით მცხოვრებ ტომებს თავის „ცხვრე-

ბად“ ანუ ქვეშევრდომებად მიიჩნევს. სოფ. აჩმარდის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერა ნათელა ილუსტრაციაა იმისა, რომ ლაზთა მეფე პაკორმა დროის მოკლე მონაკვეთში თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა აფსილები, აბაზგები, სანიგები და უკვე II ს. შუახანებისათვის საფუძველი ჩაუყარა ერთიან დასავლურ-ქართულ გაერთიანებას.

გოთების ლაშქრობები პიტიუნტში

კახა ფიფია

გოთები, რომის იმპერიასთან უშუალო შეხებაამდე, საუკუნეთა განმავლობაში იმყოფებოდნენ ანტიკური სამყაროს პერიფერიაში. თუმცა, II ს. ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან და ვისლისპირეთიდან მათ სამხრეთისაკენ დაიწყეს გადაადგილება. III ს. შუახანებში გოთები გაბატონდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და დაიწყეს გამანადგურებელი თავდასხმები დუნაისპირა და მცირე აზიის პროვინციებზე.

პირველი ექსპედიცია კავკასიის სანაპიროზე 255/256 წწ. მოენყო. V-VI სს. ავტორის, ზოსიმეს ცნობით, ბოსფორელებმა შიშის გამო მისცეს ბარბაროსებს გასასვლელი გზა აზიისაკენ და თავიანთი ხომალდებითაც გადაიყვანეს ისინი. ზოსიმე ამ ბარბაროსულ ტომებს კრებით სახელს „სკვიტებს“ უწოდებს, თუმცა მათ შორის ცალკეულ გოთურ ტომებსაც - კარპებს, ბორანებსა და ურუგუნდებს იხსენიებს. შავ ზღვაში შესულმა გოთებმა გეზი კავკასიის სანაპიროსკენ აიღეს და პიტიუნტის რაიონში გადასხდნენ. ზოსიმეს ცნობით, პიტიუნტი მძლავრი გალავნით ყოფილა შემოზღუდული და კარგად მოწყობილი ნავსადგურიც ქონია. რომაულმა გარნიზონმა, რომელსაც სუკესიანუსი მეთაურობდა, სასტიკად დაამარცხა ბარბაროსები. თუმცა, 257 წ. შემოდგომაზე ბარბაროსებმა მორიგი, ამჯერად უფრო ფართომასშტაბიანი ექსპედიცია მოაწყვეს. მასში ბორანებთან ერთად მონაწილეობდნენ ოსტგოთებიც. პირველი იერიში ბარბაროსება ფასისზე მიიტანეს, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც ისეც პიტიუნტისაკენ აიღეს გეზი. ამჯერად ბარბაროსებმა შეძლეს ქა-

ლაქის აღება და სასტიკად დაარბიეს ის, რომაული გარნიზონი კი ამოწყიტეს. გოთებმა პიტიუნტში ხელთ იგდეს უამრავი ხომალდი, დასვეს მათზე ნიჩბების ხმარების მცოდნე ტყვეები, გაილაშქრეს ტრაპეზუნტზე, აიღეს ის და სასტიკად ააოხრეს.

პიტიუნტში გოთების ლაშქრობის კვალი ნათლად ჩანს არქეოლოგიურ მასალებში. ნაქალაქარის თითქმის მთელ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ძლიერი ნგრევისა და ხანძრის კვალი. 256/257 წწ. მოვლენების შემდეგ რომაელთა ბატონობა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ფაქტობრივად დაეცა, ხოლო პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემამ დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება.

სარმატთა ლაშქრობა სებასტოპოლისში

კახა ფიფია

III ს. 50-იან წწ. კოლხეთის სანაპიროსა და მცირე აზიის ქალაქებს გოთების მარბიელ ლაშქრობათა ძლიერმა ტალღამ გადაუარა. წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ სებასტოპოლისი გოთების თავდასხმას გადაურჩა. თუმცა, მოგვიანებით, დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) მმართველობის დროს ის მაინც ვერ ასცდა მეოტური ტომების მხრიდან დალაშქვრას, რასაც მოწმობს III ს. მეორე ნახევრის სებასტოპოლისის კასტელუმის კულტურულ ფენებში დაფიქსირებული ძლიერი ხანძრის კვალი. X ს. ბიზანტიელი იმპერატორისა და ისტორიკოსის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, 291 წ. სარმატულ ტომებს, ბოსფორის მეფე სავრომატე-თოთორსის მეთაურობით მოუწყვიათ დიდი ექსპედიცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაუპყრიათ ლაზეთის სამეფო და მცირე აზიაშიც შეჭრილან. როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობიდან ირკვევა, სარმატთა მიერ ლაზეთის დაპყრობა უბრძოლველად არ მომხდარა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სავრომატე ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან ე.წ. მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალით შემოიჭრა, ხოლო პიტიუნტი ამ დროისათვის გოთების მიერ უკვე დანგრეული იყო, მაშინ ცხადია, რომ სარმატთა პირველი დარტყმა სებასტოპოლისს უნდა მიეღო და სწორედ ამ ბატალიების ამსახველია მის

ტერიტორიაზე ფიქსირებული ხანძრის კვალი.

ქრისტიანობის გავრცელება აფხაზეთში

კახა ფიფია

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, დასავლეთ საქართველო და კონკრეტულად, აფხაზეთი ქრისტეს პირველმოციქულთა მოღვაწეობის არეალში შედიოდა. აქ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი. ამასთან, აფხაზეთი ცნობილი იყო როგორც პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილი. ქრისტიანობის გავრცელებას ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო სანაპირო ქალაქებში - სებასტოპოლისსა და პიტიუნტში დისლოცირებული რომაული გარნიზონებიც. ცნობილია, რომ კოლხეთი ექვემდებარებოდა კაპადოკიის რომაულ ადმინისტრაციას და აქ განლაგებული გარნიზონები დაკომპლექტებული იყო კაპადოკიის ლეგატის განკარგულებაში მყოფი ლეგიონების - XV პოლინარის (აპოლონისეული) და XII ულმინატა (ელვისებური) ცალკეული ქვედანაყოფებით. XII ლეგიონთან დაკავშირებული იყო არაერთი გადმოცემა, რომელიც ძალზე პოპულარული იყო ქრისტიანულ მწერლობაში (ტერტულიანე, ევსევი, ოროზიუსი, გრიგოლ ნოსელი, იერონიმე, ქსიფილინე და სხვ.) და განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ადრეული ქრისტიანობის ისტორიაში. ეს იყო ძველი სირიული ლეგიონი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ძირითადად ქრისტიანებით და გამოირჩეოდა ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი ერთგულებით. XII ლეგიონს ქრისტიანული ეკლესია პირდაპირ უკავშირებს მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.) დროს მომხდარ სასწაულს. ზაფხულის აუტანელ სიცხეში, უწყლო ადგილას ბარბაროსთა ალყაში მოქცეული რომაული არმია გარდაუვალი დაღუპვისათვის იყო განწირული. ლეგენდის თანახმად, რომაელები იხსნა მოულოდნელად წამოსულმა წვიმამ, რომელიც მათ ღმერთმა მოუვლინა XII ლეგიონის ჯარისკაცთა მხურვალე ლოცვის შემდეგ. ეს გადმოცემა ცნობილი იყო როგორც წარმართულ (დიონ კასიოსი, იულიუს კაპიტოლინუსი), ასევე ქრისტიანულ მწერლობაში.

ბუნებრივია, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში ხანგრძლივი დროით მდგომი XII ლეგიონის ცალკეული ნაწილები ხელს უწყობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში.

თქმულება ბეღიაზე

თეა ქართველიშვილი

ბეღიის ტაძარი X საუკუნეს ეკუთვნის. იგი ააგო ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ. გადმოცემის თანახმად, სანადიროდ წასულ მეფეს ამ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვია, რაც თავისი კარგი ბედისთვის დაუკავშირებია და ეკლესიის აგება უბრძანებია. სახელწოდება „ბეღიაც“ ამ ბედნიერი შემთხვევიდან მომდინარეობს.



ბეღიის გულანი, XVI-XVII სს.

ლეონდა მოქვის ტაძარზე

თეა ქართველიშვილი

აფხაზთა მეფე ლეონმა გადანყვიტა, მდინარეების მოქვისა და დვავის შესართავთან აეგო ტაძარი, რომლის გუმბათიდანაც მთელი აფხაზეთი გამოჩნდებოდა. ამის შემსრულებელ ხუროთმოძღვარს დიდი გასამრჯელოს დაჰპირდა.

ერთ-ერთმა ოსტატმა გადანყვიტა ბედი ეცადა და ეკლესიის მშენებლობას შეუდგა. თითქმის დასრულების პირას იყო მიყვანილი ტაძარი, რომ მეფე ლეონმა მისი მონახულება გადანყვიტა და თან გასამრჯელოდ დაპირებული ოქრო-ვერცხლიც წაიღო. იგი კმაყოფილი დარჩა ხუროთმოძღვრის ნახელავით, თუმცა განძეულის მიცემას არ აპირებდა. ლეონს გუმბათიდან გადაუხედავს და ოსტატისთვის უსაყვედურია, რომ პირობის თანახმად, ტაძრის სიმალიდან მთელი აფხაზეთი მაინც არ ჩანდა. ოსტატმა გადანყვიტა თავადაც შეემონებინა და გუმბათზე ასულა. მეფის ბრძანებით მისთვის კიბე გამოუცლიათ და ეუღლად დაუტოვებიათ.



მოქვის სახარება, 1300 წ.

მეფე ლეონმა ოცნება აიხდინა და მოქვის მსგავსი მშენიერი ტაძრის აგება ოსტატმა ველარ შეძლო.

ვინ დაარქვა ქუთაისს ქუთათისი?

თეიმურაზ გვანცელაძე

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ქუთაისს საპატიო მე-5 ადგილი უჭირავს ევროპის უძველეს ქალაქთა შორის. მის ტერიტორიაზე დასახლება უკვე არსებობდა ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში. ეს ქალაქი იყო კოლხეთის დედაქალაქი. ძველბერძნულ წყაროებში ქალაქი **აია**, **კუტა**, **კუტაია**, **კუტაიონ**, **კოტაიონ**, **კუტატისიუმ** სახელებით მოიხსენიება.

ძველქართულ წყაროებში ამ ქალაქს **ქუთათისი** ეწოდება, ხოლო ამჟამად მეგრულად **ქუთეში**, სვანურად **ქუთემ**, აფხაზურ ენაზე კი მეგრულიდან გადაღებული **ქუთემ** ჰქვია.

აია სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა და წარმოშობა ჯერჯერობით გარკვეული არ არის, დანარჩენი სახელწოდებები კი უდავოდ ერთი სახელწოდების ფონეტიკური და გრამატიკული ვარიანტებია.

აფხაზი ავტორები იზიარებენ აკადემიკოს **ნიკოლაი მარის** მოსაზრებას, რომ ვარიანტები **კუტა**, **კუტაია** და **კუტატისიუმ** აფხაზური **ა-ქითა** [ზუსტი ტრანსკრიფცია: **ა-ქჟთა**] „სოფელი“ სიტყვისაგან მომდინარეობს, თუმცა ნ. მარი ვერ ხსნიდა, რას წარმოადგენს გეოგრაფიული სახელის სხვა ნაწილები. მიუხედავად ამისა, მეცნიერი მაინც დაასკვნიდა, რომ სახელი ამ დასახლებას დაარქვეს აფხაზებმა, მაგრამ ეს მოსაზრება არ მტკიცდება: სოფლის აღმნიშვნელი აფხაზური სიტყვა **ა-ქჟთა** ამ ენას ნასესხები აქვს თურქული ენიდან, სადაც **kit** [გამოითქმის: **ქთ**] **უბანს** ნიშნავს. იგივე სიტყვა თურქულიდან უცვლელადაა გადაღებული ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები აფხაზების უახლოეს მონათესავე აბაზა ხალხის ენაშიც: **ქთ** „სოფელი“. რაკი თურქებთან აფხაზებსა და აბაზებს არ ჰქონიათ უშუალო შეხება **XVI** საუკუნემდე, ძველი ბერძენი ავტორების დროს სიტყვა **[ა-]ქჟთ[ა]** უბრალოდ ვერც იარსებებდა აფხაზ-აბაზების მეტყველებაში.

ბერძნული ფორმები **კუტა**, **კუტაია**, **კუტაიონ**, **კოტაიონ**, **კუტატისიუმ** და ძველქართული

ქუთათისი მომდინარეობენ მამაკაცის ქართული **ქუთა** პირსახელისაგან, რომელიც დღესაც გამოიყოფა აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ **ქუთა-ურ**-ის სახელწოდებასა და ქსნის ხეობაში, ახალდაბის მუნიციპალიტეტში გავრცელებულ გვარსახელ **ქუთა-შვილ**-ში. **ქუთა-თ-ის-ი** ვარიანტში ბოლოსკენ მდებარე -თ ბგერა მრავლობითი რიცხვის ქართული მანარმოებელია და აღნიშნავს ოჯახის წევრთა მომდინარეობას წინაპრისაგან.

ამრიგად, ქალაქ ქუთათისის სახელს არავითარი კავშირი არა აქვს აფხაზებთან და მათ ენასთან.

რატომ ერქვა შავ ზღვას სპარსულად გორჯი დარია?

თეიმურაზ გვანცელაძე

წინა ამბავში ნახსენები ნ. მარი ვარაუდობდა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თავდაპირველად ცხოვრობდნენ აფხაზ-აბაზების, ჩერქეზებისა და უბიხების წინაპრები, ხოლო ქართველთა წინაპრები - ახლანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ერაყისა და სირიის ჩრდილოეთით. ეს მოსაზრება ემყარება რამდენიმე გეოგრაფიული სახელის მცდარ ანალიზს, რაც კრიტიკას ვერ უძლებს.

ნ. მარის ამ ჰიპოთეზას უკრიტიკოდ იზიარებენ აფხაზი ისტორიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კოლხებიც მათი წინაპრები იყვნენ, მათი დაარსებულია ქალაქი ქუთათისიც და აფხაზთა (ანუ ეგრისის) სამეფოც (დაახლოებით 798-978 წწ.), სადაც თურმე მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ.

ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ აფხაზთა (ეგრისის) სამეფოს სომხურ მატრიანეებში მეორე სახელად **ეგერ-აცი** „ეგრისი“ // **აშხარჰ ეგერ-აცი** „ეგრისის ქვეყანა“ ერქვა. ასე-

თივე მნიშვნელობა აქვთ ცნობებს X საუკუნის ანონიმი სპარსელი ავტორის გეოგრაფიული თხზულებიდან **ჰოდუდ-ალ-ალემ** „ქვეყნიერების საზღვრები“, რომელშიც 5-ჯერ იხსენიება შავი ზღვა და ხუთივე შემთხვევაში მას **გორჯი დარია** „ქართული ზღვა“ ეწოდება და არა ***აფსუა დარია** „აფსუური ზღვა“, ან ***აბაზა დარია** „აბაზური ზღვა“, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ახლანდელ დასავლეთ საქართველოში რომ მხოლოდ აფხაზ-აბაზებს ეცხობრათ.

არსებობდა თუ არა აფხაზური სკოლები და იბეჭდებოდა თუ არა აფხაზური წიგნები 1938-1954 წლებში?

თეიმურაზ გვანცელაძე

აფხაზ ავტორთა სიტყვით, 1938-1954 წლებში, როცა აფხაზური სალიტერატურო ენა გადაყვანილი იყო ქართულ დამწერლობაზე, აფხაზეთში დაიხურა აფხაზური სკოლები და აიკრძალა აფხაზურ ენაზე წიგნების გამოცემა. ეს აქციები თურმე აფხაზი ხალხის გასაქართველებლად მიმდინარეობდა.

ფაქტები არ ადასტურებენ ამ განცხადებებს:

1. რეალურად ნამდვილი აფხაზური სკოლა არ არსებობდა არც წარსულში და არ არსებობს არც ამჟამად, ამიტომ აფხაზური სკოლების დახურვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1945 წლის 1 სექტემბრამდე აფხაზეთში მოქმედებდა **ე.წ. აფხაზური სკოლები, რომლებშიც სწავლების ენა აფხაზური და რუსული იყო I-IV კლასებში, ხოლო მომდევნო საფეხურებზე ყველა საგანს ასწავლიდნენ რუსულ ენაზე, ანუ ეს იყო რუსული სკოლები დედაენის სწავლების ელემენტებითურთ** (ასეა 1954 წლიდან დღემდე!). 1945 წელს ამ ფსევდო-

აფხაზურ სკოლებში რუსული ენის ადგილი დაიკავა ქართულმა ენამ, ხოლო აფხაზური ენა და ლიტერატურა კვლავ ისწავლებოდა ყველა კლასში. **ეს რეფორმა იმ დროის საბჭოური ენობრივი პოლიტიკის ორგანული პროცესი იყო**, შდრ.: აზერბაიჯანში იმავე პერიოდში ე.წ. უმცირესობათა (მაგალითად, ლეზგიურ, რუთულურ...) სკოლებშიც სწავლების ენა რუსულის ნაცვლად გახდა აზერბაიჯანული...

2. თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და სოხუმის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში **რეალურად დაცულია 1938-1954 წლებში აფხაზურ ენაზე გამოცემული 300 დასახელების წიგნები და ბროშურები**, როგორც ორიგინალური, ისე რუსული და ქართული ენებიდან თარგმნილი: სასკოლო სახელმძღვანელოები და პროგრამები, პოლიტიკური, ეკონომიკური, მხატვრული ლიტერატურა, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი... ამ პროდუქციის ნახვა ყველას შეუძლია დაუბრკოლებლად. უცნაურია, რომ წიგნების აფხაზურ ენაზე ბეჭედვას უარყოფდნენ ის აფხაზი მწერლებიც კი, ვისაც სწორედ 1938-1954 წლებში დაუბეჭდეს წიგნები საკუთარ დედაენაზე: დიმიტრი გულია (მისი თხზულებანი 3 ტომად გამოიცა 1947-1952 წლებში), ბაგრატ შინქუბა, ივანე თარბა...



აფხაზური „დედა ენა“, 1938 წ.

აფხაზების დეპუტაცია თბილისში

ბეჟან ხორავა

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დროს გაძლიერდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. იმავდროულად, საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორების მიზნით, რუსეთის ხელისუფლება განიხილავდა სოხუმის ოკრუგის შავი ზღვის გუბერნიასთან მიერთებისა და სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფის საკითხს, რამაც აფხაზთა მონინავე წრეების დიდი შეშფოთება გამოიწვია. მაშინ, 1916 წლის აპრილში, თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა დეპუტაცია, რომელიც მეფისნაცვალს, დიდ მთავარს ნიკოლოზ რომანოვს (1915-1917) და საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ პლატონს (როჟდესტვენსკი) შეხვდა. დეპუტაციაში შედიოდნენ აფხაზეთის თავადაზნაურობის ბრწყინვალე წარმომადგენლები: ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძე, გიორგი კონსტანტინეს ძე შარვაშიძე, მელიტონ ემუხვარი, დიმიტრი მარშანია, ასტამურ ინალ-იფა, პეტრე ანჩაბაძე, დიმიტრი მარლანია, ნოჩო მარლანია. იმის ნიშნად, რომ დეპუტაცია მთელი აფხაზი ხალხის ნებას გამოხატავდა, თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან ერთად მასში ჩართული იყვნენ გლეხობის წარმომადგენლებიც: გიორგი ეზუხბაია და ანტონ ჩუკბარი. დეპუტაციამ აფხაზი ხალხის სახელით მეფისნაცვალს და ეგზარქოსს წარუდგინა მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებდა მთავრობის მხრიდან აფხაზეთისადმი მეტი ყურადღების გამოჩენას, სოხუმის ოლქი არ მიეერთებინათ შავი ზღვის გუბერნიისათვის, სოხუმის ეპარქია არ გამოეყოთ საქართველოს საეგზარქოსოსაგან; აფხაზეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო ყოფილიყო. „იმ შემთხვევაში, — ნათქვამია დეპუტაციის მოთხოვნებში, — თუ შეუძლებელი იქნება სოხუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გარდაქმნა და აუცილებელი გახდება მისი მიწერა რომელიმე გუბერნიასთან, ამ შემთხვევაში სოხუმის ოლქი უნდა გაერთიანდეს ქუთაისის გუბერნიასთან. სოხუმის ეპარქია იმის გამო, რომ თავისი წარსულით და დღევანდელით სისხლხორცეულად არის დავაშირებული ქართულ ეკლესიასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას მას ჩამოშორებული“.

იმავე ხანებში გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა დეპუტაციის ორი წევრის მელიტონ

ემუხვარისა და პეტრე ანჩაბადის წერილი, სადაც ნათქვამია: „ჩვენ გვინდა ისეთი ადმინისტრაციული და თუ შესაძლებელია, საერობო მმართველობაც, რომელიც განსაკუთრებულად იზრუნებს სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ ჩვენი თვით-არსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ჩვენ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენთან ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებული მოძმენი ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურობა. ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან“.

აფხაზური საზოგადოების მოთხოვნას დადებითი შედეგები მოჰყვა. მეფის ხელისუფლებამ სოხუმის ოკრუგი არ შეუერთა შავი ზღვის გუბერნიას და სოხუმის ეპარქიაც საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დატოვა.

ილარიონ ქართველი ახალი და აფხაზები

ბეჟან ხორავა

წლების განმავლობაში იმერეთის მეფის სოლომონ II-ის (1789-1810) სულიერი მოძღვარი იყო მამა იესე (ერობაში - იესე ყანჩაველი). იგი მეფეს ახლდა ტრაპიზონში, მისი ცხოვრების უკანასკნელ წუთებშიც. 1815 წლის 7 თებერვალს მეფის გარდაცვალების შემდეგ, მამა იესე დედოფალმა მარიამმა მოსკოვში იხმო. მან დედოფალს მოსკოვში ჩაუტანა სოლომონ მეფის კუთვნილი უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი. 1819 წელს მამა იესემ ათონის მთას მიაშურა, სადაც 1821 წელს დიონისეს მონასტერში ილარიონის სახელით ბერად აღიკვეცა.

მღვდელმონაზონი ანტონი (მთანმინდელი) „მღვდელ სქიმონაზვნის ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ მოგვითხრობს: ათონის მთაზე მყოფი მამა ილარიონი 1822 წელს თურქებმა შეიპყრეს,

როგორც აჯანყებულ ბერძენთა თანამოაზრე და სიკვდილით დასჯის მიზნით ორ თურქ ჯარისკაცს გადასცეს. აღმოჩნდა, რომ ისინი წარმოშობით აფხაზები იყვნენ. როდესაც მათ გაიგეს, რომ მამა ილარიონი ქართველი იყო, განცვიფრებით ხელი ხელს შემოჰკრეს და წამოიძახეს: ეს არ მოხდება, ჩვენი თავის მოჭრაა, ქალაქში გამოჩენასაც ვერ შევძლებთ; ხალხი იტყვის, ძლივს ამ მხარეში ერთი თანამემამულე გამოუჩნდათ და ისიც სიკვდილით დასაჯესო. ეს ჩვენი სამუდამო სირცხვილი იქნება.

მათ ფაშასაგან მამა ილარიონის გათავისუფლების ნებართვა გამოითხოვეს, რასაც მიაღწიეს კიდევ. ამის შემდეგ მამა ილარიონი კიდევ დიდხანს მოღვაწეობდა ათონის მთაზე, სადაც 1864 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მღვდელსქიმმონაზონი ილარიონი (ყანჩაველი) წმიდანთა დასში შეირაცხა და ეწოდა ილარიონ ქართველი ახალი.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი

ბეჟან ხორავა

1864 წლის ივლისში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო. აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864) მაშინ ტყვარჩელის მინერალურ წყლებზე იმყოფებოდა სამკურნალოდ. კავკასიის მეფისნაცვლმა მიხეილ რომანოვმა განკარგულება გასცა მიხეილ შარვაშიძეზე მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებინათ და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე აფხაზეთიდან დაუყოვნებლივ გაესახლებინათ. მთავარი აფხაზეთში დარჩენას ცდილობდა, რადგან, მისი აზრით, აქედან წასვლის შემთხვევაში, უკურნებელი სენი საბოლოოდ მოუშლიდა ჯანმრთელობას, მითუმეტეს რუსეთის მკაცრი კლიმატის პირობებში. მიხეილ შარვაშიძე საცხოვრებლად აფხაზეთში დატოვებას ითხოვდა, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ ზამთარში ქუთაისში, ზაფხულში კი რაჭაში ცხოვრების ნებას, მინის გამოყოფას

ქუთაისის მაზრაში და მცირე მიწის ნაკვეთს რაჭაში აგარაკის ასაგებად.

იმავე წლის ნოემბერში აფხაზეთის მთავარი სტავროპოლში, შემდეგ კი ვორონეჟში გადაასახლეს. 1866 წლის 16 აპრილს მიხეილ შარვაშიძე ვორონეჟში გარდაიცვალა. ივლისში მისი ნეშტი აფხაზეთში ჩამოასვენეს და ანდერძისამებრ მოქვის ტაძარში, მეუღლის, ალექსანდრა (ცუცუ) დადიანის გვერდით დაკრძალეს. მათ საფლავის ქვებზე გაკეთებული ქართული ასომთავრული წარწერები გვაუწყებს:

„აქა განისვენებს მთავრინა აფხაზეთისა ალექსანდრა გიორგის დადიანის ასული მიცვალებული 1862 წელსა“.

„აქა განისვენებს მთავარი აფხაზეთისა მიხაილ გიორგის ძე შარვაშიძე, მიცვალებული 1866 წელსა“.



მიხეილ შარვაშიძე,
აფხაზეთის უკანასკნელი
მთავარი,
1806-1866 წწ.

გიორგი შარვაშიძის და მამია გურიელის შეთანხმება

ბეჟან ხორავა

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟი, გიორგი შარვაშიძე (1846-1891), ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო, თერგდალეულთა თანამოაზრე. გიორგი შარვაშიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გურიის სამთავრო სახლის შთამომავალ მამია გურიელთან (1836-1891), რომელიც ნათესავადაც ეკუთვნოდა. მამია გურიელი პოეტი იყო, წერდა ფაზელის ფსევდონიმით. მისი ყველაზე ცნობილი ლექსია „ადამიანი“. მათ ერთნაირი შეხედულებები ჰქონდათ,

საფიქრალი და სატკივარიც ერთი ჰქონდათ – სამშობლო, საქართველო.

ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ გრიშაშვილის (1889-1965) ცნობით, ცარიზმის ჩინოსნობის მაძიებელ ქართველებთან ბრძოლის მიზნით გიორგი შარვაშიძემ ერთხელ მამია გურიელს წინადადება მისცა: დავაარსოთ ხელის არჩამორთმევისა და სალმის არმიცემის საზოგადოება; ვინც ორჭოფი იქნეს, ხელი არ ჩამოვართვათ და სალამიც არ მივცეთო.

მამია გურიელმა უპასუხა: ჩემო გიორგი, მაშინ მე და შენ დავრჩებით, დავიკრიფოთ გულზე ხელი და ვიაროთ ასეო.



გიორგი შარვაშიძე,
აფხაზეთის უკანასკნელი
მთავრის – მიხეილის ვაჟი,
1846-1918 წწ.

ერთი ტრაგიკული სიყვარულის ისტორია

ბეჟან ხორავა

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა (1864) და აფხაზთა 1866 წლის ანტირუსული, ანტი-კოლონიური აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მთავრის ძმის, ალექსანდრე შარვაშიძის ოჯახი გორის მაზრაში, სოფელ ხოვლეში ჩაასახლა.

70-იან წლებში შიდა ქართლის სოფლებში ფართოდ გავრცელდა ხალხოსნური მოძრაობა. ალექსანდრე შარვაშიძის ქალიშვილები ელისაბედი (ლიზა) და მარიამი ხალხოსნურმა იდეებმა გაიტაცა. საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მიხეილ (მიშო)

ყიფიანი, ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილი. სოფრომ მგალობლიშვილის დახასიათებით, იგი ყოფილა ენაწყლიანი, მჭევრმეტყველი, ტკბილი მოსაუბრე, მიმზიდველი, ამასთანავე პირდაპირი, უშიშარი ხასიათის, მეგობრის ჭირ-ვარამის გამზიარებელი. 1876 წელს მეფის ხელისუფლებამ მიშო ყიფიანი დააპატიმრა და ორენბურგში გადაასახლა. 1881 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა, გორში დამკვიდრდა და სასულიერო სემინარიაში პედაგოგად მოეწყო. იგი ძველებურად ავრცელებდა ხალხში მთავრობის საწინააღმდეგო იდეებს, რისთვისაც 1883 წელს დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. მასთან ერთად დაპატიმრეს მარიამ შარვაშიძე. ლიზა შარვაშიძემ და დედამისმა ციხეში მოინახულეს მარიამი და მიშო ყიფიანი, რომლებსაც მთავრობამ სემიპალატინსკში გადასახლება გადაუწყვიტა. ციხეში ლიზა შარვაშიძემ და მიშო ყიფიანმა ჯვარი დაინერეს. ამის შემდეგ ლიზა გადასახლებაში გაჰყვა მეუღლეს.

1887 წელს მიშო ყიფიანი გადასახლებიდან გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნდა. უსახსრობის გამო, მას ცოლ-შვილი თან ვერ წამოუყვანია. იგი ფიქრობდა, საჭირო თანხა შეეგროვებინა და ცოლ-შვილი ჩამოეყვანა. იმავე წლის სექტემბერში ლიზა შარვაშიძე, რომელმაც ციმბირის მკაცრ ჰავას და მუდმივ გაჭირვებას ვერ გაუძლო, გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ მიშო ყიფიანი გაანადგურა. ერთ წერილში იგი წერდა: „საცა ვიყო მარტოდ ვარ, და აი რა ყოფილა ყოველს გვარს წამებაზე უუძნელესი წამება. რამდენ ციხეში ვიყავი ხოლმე ერთადერთი შეკეტილი, მაგრამ მარტოდ მაინც არ ვიყავი, ვიცოდი ლიზას გული სცემდა. მისი კეთილი მფარველი ფიქრი ჩემთან იყო: ახლა? ახლა რაღა ვარ? მარტო ვარ“.

ლიზა შარვაშიძის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და ქვიშხეთში, ყიფიანების საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.

როგორ გაჩნდა მანდარინი აფხაზეთში

კახა კვაშილავა

ეს ამბავი რამდენიმე ათასი წლის წინ ინდოეთში დაიწყო, სადაც ნარინჯისფერი, წვნიანი ხილის მოშენება დაიწყო და მას ნეტარებისგან **कमला लेबू** - „kamalā lebu“ უწოდეს.

ჩინეთის ბოგდოხანამდე მიაღწია კამალაა ლეებუს შესახებ საოცარმა ამბებმა და მისმა შიკრიკებმა სასწრაფოდ ჩაუტანეს ნაყოფიცა და ნერგებიც. მოიწონა ზეცისქვეშეთის მბრძანებელმა, მას 橘子 - „ჯუძი“ უწოდა და ამ ხილის გაშენება ბრძანა.

თუმცა, მისი დაგემოვნება მხოლოდ დიდებულებს შეეძლოთ. ჩვეულებრივი მოკვდავნი ნერწყვებ-მომდგარი შესცქეროდნენ ჯუძის ნარინჯისფერ ნაყოფს და მისი დაგემოვნება კი უნდოდათ, მაგრამ სიკვდილით დასჯის შიში ამ სურვილს გონებაშივე უკლავდა მათ.

შემდეგ იყო და ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებულმა ოსმალებმა ევროპელ გიაურებს აზიისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაუფლებით. არა, გასვლა ევროპელებს კი შეეძლოთ, მაგრამ იმხელა თანხებს ითხოვდნენ ოსმალნი უსაფრთხოებისთვის, რომ პორტუგალიის ნაპირებიდან ატლანტის ოკეანის უსაზღვროებას უცქერდნენ ნირნამხდარი ევროპელები, სპარსეთ-ინდოეთ-ჩინეთიდან ჩამოტანილი სანელებლების გარეშე მომზადებულ უგემურ საკვებს რომ მიირთმევდნენ.

ევრიკა! ევროპელებს გაახსენდათ, ჯერ კიდევ ქრისტემდე დიდი ხნით ადრე არისტოტელემ და ერატოსთენემ დაამტკიცეს, რომ დედამიწა მრგვალია და იტალიელმა ქრისტეფორე კოლუმბმაც ესპანელ მონარქები დაარწმუნა, დაეფინანსებინათ მისი მოგზაურობა ინდოეთისკენ. დედამიწა ხომ მრგვალია და ჩვენც მეორე მხრიდან მივალთ ამ ქვეყნამდეო, - ერთი თუ ორი ამოსუნთქვით უთხრა მათ უდიდებულესობებს იტალიელმა მეზღვაურმა.

კი დაუფინანსეს, კი გაემგზავრა, კი მიაღწია... „ინდოეთს“.

ოლონდ წლების შემდეგ გაიგეს, რომ „ინდოეთი“ ახალი კონტინენტი ყოფილა და იქ ოქრო-ვერცხლი, კარტოფილი, პომიდორი და თამბაქო უხვად კი მოიპოვებოდა, მაგრამ კიდევ მრავალ წელს უნდა გაეგლო, რომ ევროპელებს „ოქროს ვაშლი“ (იტალ.: პომოდორო) და სოკო „ტრიუფელის“ ახალი „სახეობა“ (იტალიური „tartufolo“-დან მომდინარეობს გერმანული „Kartoffel“) საკვებად ვარგისად მიეღოთ.

გვიმნიფდება მანდარინი და ჯერ ჩინეთამდე ვერ მივალწიეთ.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, პორტუგალიელმა ვასკო და გამამ გადაწყვიტა არა დასავლეთით გაეცურა, არამედ სამხრეთით და 1499 წელს, როგორც იქნა, მიაღწია იმ ნამდვილ ინდოეთს.

ამიერიდან ევროპელებმა აზიისკენ მოგზაურობა დაიწყეს. მთლად უსაფრთხო და ნაკლებხარჯიანი არ იყო, მაგრამ ოსმალებთან ურთიერთობას მაინც ეს ერჩივნათ.

ბოლოს საოცარ და მდიდარ ჩინეთსაც მიაღწიეს. იქ მინის დინასტია ბატონობდა. ნვეულებაზე, დიდებულებთან სტუმრობისას, პორტუგალიელ „ავანტიურისტებს“ (მოგზაური-მეზღვაური) პატივი ერგოთ ჯიძუს დაგემოვნებისა.

ვინაიდან დიდებულებს, რომელთაც, სახელმწიფო თანამდებობებიც ეჭირათ, ჩინელები 官吏 - guān li-ს უწოდებდნენ, პორტუგალიელებმა კი „მანდარინებად“ მოიხსენიეს. ასე უწოდებდნენ ინდონეზიაში, სადაც ვასკო და გამას შთამომავლები ჩინეთამდე ჩავიდნენ, მმართველებს (Menteri - მენტერი).

პორტუგალიელებმაც ჯუძი „მანდარინად“ მონათლეს და ევროპაშიც ჩამოიტანეს. მოენონათ ახალი საოცარი ხილი ევროპელებს და მალე მათ მოსაშენებლად „ორანჟერეებიც“ (სანარინჯისფრო) მოაწვეეს. განსაკუთრებით, ლუების საფრანგეთში მოიპოვა პოპულარობა ახალმა ხილმა.

მალე მანდარინები ორანჟერეებიდან გამოიტანეს სელექციონერებმა და მისი მოშენება აქტიურად

დაიწყეს ხმელთაშუაზღვის სანაპიროს (ესპანეთი, იტალია, ოსმალეთი [საბერძნეთი, ახლო აღმოსავლეთი]) ღია გრუნტში.

XVIII საუკუნეში გერმანელებმა ამ ხილს Mandarin Apfelsine უწოდეს - „ჩინური ვაშლია (აპფელ [ვაშლი] +სინა [ჩინეთი]) მანდარინიო“.

საქართველოში ეს ხილი პირველად 1885 წელს იტალიიდან შემოიტანეს. თუმცა, მისი გახარება ვერ მოხერხდა, რადგან შემოტანილი ჯიში დაბალი ყინვაგამძლეობის აღმოჩნდა და ნაყოფიც დროზე არ მნიფდებოდა.

პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

1896 წელს იაპონიიდან შემოიტანეს ახალი ჯიში „უნშიუ“, რომელიც ბათუმთან ახლოს დარგეს. უნშიუმ „აღლო აულო“ ადგილობრივ კლიმატს და მალე სწრაფადაც გავრცელდა.

1901 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ალახაძეში (გაგრასთან, აფხაზეთი) გადაასახლეს ცნობილი რუსი მილიონერი, ოქროს საბადოების მფლობელი და ქველმოქმედი ნიკოლაი ვასილევინი იგუმნოვი.

ის იყო სამრეწველო-კომერციული კომპანიის „იაროსლავის დიდი მანუფაქტურის“ თანამფლობელი (ამჟამინდელი „კრასნი პერეკოპი“) და ციმბირის ოქროს მაღაროების მფლობელი. სწორედ მან ააგო მშვენიერი სასახლე მოსკოვში, იაკიმანკაზე, სადაც ამჟამად საფრანგეთის საელჩოა განთავსებული.

ძალიან თავისებური და სკანდალური პიროვნება იყო „ახალი რუსი“ გოსპოდინი.

ერთ დღეს, მან იაკიმანკას სასახლეში პომპეზური საქველმოქმედო მეჯლისი გამართა. საბანკეტო დარბაზში, რომელშიც წვეულება იმართებოდა, იატაკი მოაპირკეთა იმპერატორ ნიკოლაი II-ს გამოსახულებიანი ოქროს ჩერვონეცებით. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა საიმპერატორო კარს მიაღწია, სადაც ცოფები ჰყარეს (ჯერ იმპერატორის სახე როგორ გათელესო და მერე ამხელა სიმდიდრე ამ კაცს როგორ აქვსო), იგუმნოვს მისი ქონება ჩამოართვეს და კავკასიელ „ტიუმცებში“ გაასახლეს.

ალახაძეში იმხანად მხოლოდ ქაობები იყო. მოსკოვიდან გამოძევებულმა იგუმნოვმა მის ახალ მამულში ევკალიპტები და კვიპაროსები დარგო, რომლებსაც ქაობები უნდა ამოეშროთ. მალე სათევზაო სანარმოც შექმნა, რომელსაც თევზეულის საკონსერვო ქარხანაც მოჰყვა. ქაობის სრული ამომშობის შემდეგ, იაროსლავლში მისი ყოფილი მამულიდან ჯიშიანი საქონელიც გამოიწერა.

მალე მეზაღობაც დაიწყო და კივი და თამბაქოც მოაშენა. მან ყურადღება მიაქცია დასავლეთ საქართველოში მანდარინის სწრაფ გამრავლებას და ოსმალეთიდან (აბა, იაპონია შორს იყო და თან უკვე იქ რუსებიც არ ეპიტნავენოდათ) ამ ხილის ახალი ჯიშები გამოიწერა. ზოგიერთმა აქაც ვერ იხარა, მაგრამ, საბოლოოდ, იგუმნოვმა ალახაძეში მანდარინის ბაღიც გააშენა.

ვინაიდან ნ. იგუმნოვს საიმპერატორო კარი მაინცდამაინც არ ეპიტნავენოდა, აფხაზეთის მანდარინების დაგემოვნება ნიკოლაი II-მ მხოლოდ სოხუმის დენდროპარკის დამაარსებლის ნიკოლაი ნიკოლაევიჩ სმეცკოის მამულიდან შეძლო, რომელმაც 1916 წელს სანქტ-პეტერბურგში რომანოვების სამეფო დინასტიის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით მის ბაღში მოწეული მანდარინები გააგზავნა.

გასაბჭოების შემდგომ, იგუმნოვმა, რომელსაც ოჯახი უკვე საფრანგეთში ჰყავდა გახიზნული, მისი მეურნეობა საბჭოთა რეჟიმს „ნებაყოფლობით“ გადასცა. ბოლშევიკებმა ყოფილი კაპიტალისტის ბაღს „მესამე ინტერნაციონალის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა“ უწოდეს. გლეხთა ყოფილი „მჩაგვრელიც“ იქვე დაასაქმეს - აგრონომად.

1924 წელს ნიკოლაი იგუმნოვი 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ალახაძეში.

აი, ასე გაჩნდა აფხაზეთში მანდარინი.

აბრეშუმის შარფის საქმე

ტომოთი ბალუველტი

1927 წლის 21 ოქტომბერს მოქალაქე თოფურიძეს მილიციელ მავზორიშვილისთვის მიუმართავს, რადგან შეუნიშნავს, რომ მაღაზიაში შესულ ქალს მის მიერ დაკარგული შარფის (ადრე მას მილიციისათვის აბრეშუმის შარფის მოპარვის შესახებ შეუტყობინებია) მსგავსი შარფი ეხვია. მავზორიშვილი შარფის შესახებ გამოსაკითხად ამ ქალს - თურმე, ნესტორ ლაკობას ცოლს მიუახლოვდა, რაზეც მას უპასუხია „იცით, მე ვინ ვარ?“

მეორე ქალი ნესტორ ლაკობას ცოლი სარია აღმოჩნდა, რომელიც მილიციელის ეჭვს იმდენად გაუნანყენებია, რომ ქმრის ჩარევით მავზორიშვილი თანამდებობიდან გადააყენეს, შემდეგ კი უფებამოსილების გადამეტების გამო დააპატიმრეს.

იმავე დღეს მავზორიშვილი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების (რუს. უგრო) უფროსის ბრძანებით დააკავეს უფლებამოსილების გადამეტებისა და დისციპლინური გადაცდომისათვის, რადგან უგრო-ს უფლებამოსილება გამოძიების ჩასატარებლად არ ჰქონდა და საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. მას 14-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ეს სასჯელი რომ მოიხადა, უგრო-ს ხელმძღვანელმა აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე ვლადიმერ ამპარისგან ბრძანება მიიღო, მავზორიშვილი სამსახურიდან დაეთხოვათ. შემდეგ მავზორიშვილის საქმე პროკურორის მოადგილეს, კონსტანტინე სემერჯიევს გადაეცა, რომელმაც დაადასტურა უგრო-ს ხელმძღვანელის დასკვნა დისციპლინური დარღვევის შესახებ და საქმე შემდგომ განსახილველად აფხაზეთის უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ საქმე განიხილა და დაადგინა, რომ მავზორიშვილს ერთწლიანი პირობითი პატიმრობა უნდა შეფარდებოდა. ამის შემდეგ მავზორიშვილმა განაჩენი შემდეგომი სასამართლოს სააპელაციო კოლეგიაში გაასაჩივრა, რომელმაც სასჯელი გააუქმა და საქმე დახურა.

41 ბრალდება

ტომოთი ბალუველტი

აფხაზმა ოფიციალურმა პირებმა 1925 წლის აფხაზთში ე.წ. „მინისტრთა კრიზისის“ დროს, რომელსაც მოგვიანებით „რიფის ამბოხსაც“ უწოდებდნენ, წარადგინეს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იყო ჩამოთვლილი და აღწერილი 41 ბრალდება ლაკობასა და მასთან დაახლოებული პირების მიმართ, მათ შორის პირადი კორუფციისა და პროტექციონიზმის ბრალდებები თავად ლაკობასა და მისი ნახევრძმის მიხეილ ლაკობასა თუ მისი სხვა ნათესავებისა და თანამოაზრეების მიმართ. გარდა კორუფციის კონკრეტული შემთხვევებისა, როგორცაა დიდი, მდიდრული სახლის აშენება სახელმწიფო მაღაზიებიდან გამოთხოვილი აგურით და გლეხთა შრომით, ლაკობასთან დაკავშირებული ბრალდებების უმეტესობა ეხებოდა მისი ხელმძღვანელობის სტილს.

ბევრი ბრალდება ლაკობას ნახევარძმას, მიხეილ ლაკობას უკავშირდებოდა. მიხეილმა მოიტაცა და იქორწინა ყოფილი თავადის, გიორგი ზვანბაიას ქალიშვილზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი აფხაზური ელიტის ტენდენციას - ძველ აფხაზურ არისტოკრატიასთან დამოყვრებას. მისი (ნ. ლაკობას) სარძლო მანამდე ყოფილ თავადზე, მიხა ანჩაბაძეზე იყო დანიშნული და სისხლიანი შუღლის ჩამოგდების თავიდან ასაცილებლად, მიხეილ ლაკობამ, როგორც ჩანს, დააკავა და შემდეგ იარაღის გასროლით მოკლა ანჩაბაძე იმ საბაბით, რომ ეს უკანასკნელი გაქცევას ცდილობდა. მიხეილ ლაკობამ ასევე დააკავა ანჩაბაძის ძუძუმტე ბარლანჯიაც, რომელიც მილიციის შტაბიდან ღამით გაიყვანეს და დახვრიტეს.

ერთხელ მიხეილს ახალათონელი მოქალაქის, ვინმე ბეინკოვის თოფი მოეწონა; ბეინკოვს მიხეილისთვის თოფის ჩუქება არ სურდა, ამიტომ ბეინკოვი დააკავეს და თოფი „ჩამოართვეს“.

მიხეილ ლაკობა თავის მოადგილეს, სამსონ ფილიას უბიძგებდა, ყოფილი აზნაურის ქალ ლოლუაზე ექორწინა, ხოლო იმისთვის, რომ პატარძლის ოჯახს სიძედ მიეღო გლეხი ფილია, ნესტორ ლაკობამ წყვილს მდიდრული ქორწილი გადაუხადა. საქორწინო საჩუქრად ფილიამ გუდაუთის რაიონის მილიციის უფროსობა მიიღო, გადაყენებული ესტატე ვარდანას ადგილი, რომელიც სამსახურიდან

ნესტორ ლაკობას ცოლის, სარიას ჭირვეულობით გაუშვეს (გუდაუთაში გამართულ ღონისძიებაზე ვარდანიას ცოლი თურმე ჯეროვანი პატივისცემით არ მიესალმა ლაკობას ცოლსა და დედას, ამიტომ სარიამ ვარდანიას მოხსნა მოითხოვა).

ასეთი ბრალდებები ლაკობას სხვა ნათესავების მიმართ კიდევ ბევრი იყო. როდესაც ლაკობას უმცროს ძმას, დათას, გუდაუთელმა ქალმა, გვარად ლადარიამ, ქორწინებაზე უარი უთხრა, დათამ ნესტორ ლაკობას მიმართა, რომ ქალის ორი ძმა დაეპატიმრებინათ, მისი მშობლების სახლი ნაციონალიზებულ იქნა, ხოლო მისი ნათესავი ბორის ლადარია სამსახურიდან, ობკომის აგიტპრომის დეპარტამენტიდან გაათავისუფლეს. მთელ ოჯახს, როგორც კონტრევოლუციონერებს, დეპორტირებით ემუქრებოდნენ. ქალი იძულებული გახდა, თანხმობა განეცხადებინა. მისი ძმები მაშინვე გაათავისუფლეს, სახლი საკუთრებაში აღუდგინეს, ბორის ლადარია კი გუდაუთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. დათას სიმამრი. ალექსი ლადარია ამ ამბების შემდეგ მალევე გარდაიცვალა და ნესტორ ლაკობას თანხმობით გრანდიოზული ქელები მოეწყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, გლეხებს ტრადიციული ქელებების მოწყობა ეკრძალებოდათ.

...გუდაუთის რაიონში „ტრადიცია გაჩნდა“: სანამ რომელიმე ოფიციალურ ინსტიტუციას თხოვნით ან სადავო საკითხის გადასაჭრელად მიმართავდნენ, „გლეხები სათხოვრით უნდა ხლებოდნენ ნესტორის“ „უავგუსტეს“ დედას, რომელზეც იყო დამოკიდებულებათი ბედი და მათი საკითხის გადაჭრა“

ამ 41 ბრალდების ტექსტს სხვადასხვა აფხაზი მოხელე აწერდა ხელს. თითოეულს მითითებული ჰქონდა იმ ბრალდებათა ოდენობა, რომელთა დამონმებაც პირადად შეეძლოთ.



ქორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი

0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: +995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ge

1/3 M. Aleksidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS